ხელშეკრულება № 264 სბ

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

CPV-50300000

ქ. თბილისი „12" „ დეკემბერი " 2013 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1, ტელ: 238-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სკ-211358957), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თეონა იაშვილის სახით და შპს „ორიენტ ლოჯიკი" (მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილი ქუჩა #8, ტელ: 254 18 18 , საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE62BG0000000522975000, სს „ბაზისბანკი", კოდი:CBASGE22, სკ-202052054), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის , ამავე კანონის მე - 3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება"-- წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

4 ცალი სკანერის შეკეთების მომსახურება დანართი ნომერ #1-ის შესაბამისად.

(CPV-50300000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2414 (ორიათასოთხასთოთხმეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 % -ით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ბ) ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 8 (რვა) დღის განმავლობაში წარუდგინოს შემსყიდველს საავანსო საბანკო გარანტია 2214 (ორიათასორასთოთხმეტი) ლარის ოდენობით.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2 ინსპექტირებას განხორციელებს საქართველოს ეროვნული არქივის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ზვიად მელქაძე

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში გამოასწოროს წუნი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.2 მიღება-ჩაბარებას განახორციელებს საქართველოს ეროვნული არქივის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ზვიად მელქაძე..

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ნაწილი, კერძოდ 200 (ორასი) ლარი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, ხოლო დარჩენილი თანხა - 2214 (ორიათასორასთოთხმეტი) ლარი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის საავანსო თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7.3 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07 %-ის ოდენობით.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საავანსო საბანკო გარანტიით წარმოსადგენი თანხის 0.07% -ის ოდენობით.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო შესაბამისად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.07%-ის ოდენობით.

9.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. საავანსო საბანკო გარანტია

12.1. შემსყიდველის მიერ გადახდილი 2214.00 (ორიათასორასთოთხმეტი) ლარის საავანსო საბანკო გარანტიის თანხის ნაწილობრივი გათავისუფლება განხორციელდება აღნიშნული პროცენტის პროპორციულად შესრულებული შამუშაოების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რის შედეგადაც საავანსო საბანკო გარანტია უბრუნდება მიმწოდებელს მოთხოვნისთანავე.

12.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი 2214.00 (ორიათასორასთოთხმეტი) ლარის საავანსო თანხის საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე.

12.3 საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების

შესრულების ვადას.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 მარტი ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტე

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს ეროვნული არქივი	**შპს „ორიენტ ლოჯიკი“**
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1,	**მისამართი:** ქ. თბილისი, ზელიაშვილის #
ტელეფონი: 238-14-25,	**ტელ:** 254 18 18;
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,	**საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №GE96BS0000000005936872
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,	სს „ბაზისბანკი“, კოდი:CBASGE22;
სკ –211358957	**სკ** - 202052054

დანათი #1

#	სერვისი/საქონელი	მომსახურების აღწერა	ერთეულის ფასი	რაოდენობა	მთლიანი თანხა	CPV
1	მომსახურება	დიაგნოსტიკა	30.00	4	120.00	503
2	მომსახურება	ნაწილის დაყენება	40.00	2	80.00	503
				ჯამი	200	

#	სერვისი/საქონელი	მომსახურების აღწერა	ერთეულის ფასი	რაოდენობა	მთლიანი თანხა	CPV
1	PWS-A3DU2L3B158W;B (Epson GT-20000)	ნაწილის დაყენება	274.00	1	274.00	503
2	ASY-CRG (Epson GT-20000)	ნაწილის დაყენება	970.00	2	1940.00	503
				ჯამი	2214.00	

შემსყიდველი

საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1,
ტელეფონი: 238-14-25,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ –211358957

მიმწოდებელი

შპს „ორიენტ ლოჯიკი"
მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის #
ტელ: 254 18 18;
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.
№GE96BS0000000005936872
სს „ბაზისბანკი", კოდი:CBASGE22;
სკ - 202052054